

შპს ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2018
 '000 ლარი

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		131	182
სავაჭრო მოთხოვნები		1,513	1,879
გადახდილი ავანსები		163	30
მარაგები	4	2,065	1,644
სხვა მიმდინარე აქტივები		122	113
ძირითადი საშუალებები	3	7,769	5,012
არამატერიალური აქტივები		7	8
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	586
სულ აქტივები		<u>11,770</u>	<u>9,454</u>
სავაჭრო ვალდებულებები		981	512
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		125	135
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	5	856	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	6	1,103	-
სულ ვალდებულებები		<u>3,065</u>	<u>647</u>
კაპიტალი		15,335	15,335
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(6,630)	(6,528)
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>8,705</u>	<u>8,807</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>11,770</u>	<u>9,454</u>

შპს ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა
 საქმიანობის შედეგი
 31 დეკემბერი, 2018
 '000 ლარი

2018 წელი

შემოსავალი

- საქონლის რეალიზაციიდან 2,695
- მომსახურების გაწევიდან 2,518

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (4,271)

საერთო მოგება 942

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (1,518)

საპროცენტო შემოსავალი 47

საპროცენტო ხარჯი (67)

სხვა შემოსავალი 520

სულ საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) (1,018)

ფინანსური აქტივების გაუფასურების
 (ხარჯი)/რევერსირება (26)

მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე **(102)**

მოგების გადასახადი -

მოგება/(ზარალი) (102)

მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) (102)

შპს ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა

კაპიტალის მოძრაობა

31 დეკემბერი, 2018

000 ლარი

1 იანვარი, 2018

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	8,807
----------------------------------	--------------

კაპიტალის ზრდა/შემცირება	-
--------------------------	---

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-
--	---

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(102)
---------------------------------------	-------

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	8,705
--	--------------

31 დეკემბერი, 2018

შპს ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2018
000 ლარი

	2018 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(25)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,943)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1,918
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(50)
სავალუტო კურსის ეფექტი	(1)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	182
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	131

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია:

შპს ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: ავტომშენებლის ქ. №88, ქუთაისი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: მექანიკური დამუშავების სხვადასხვა ზომის სხმულების ჩამოსხმა და სხვადასხვა დანიშნულების პროდუქციის წარმოება.

შპს ქუთაისის ავტომექანიკურ ქარხანას ასევე გააჩნია სერვისების საკმაოდ მრავალფეროვანი ნუსხა და სარემონტო მომსახურებას უწევს რეგიონში განთავსებულ ინდუსტრიულ ობიექტებსა და მცირე ბიზნესის საწარმოებს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ათას ლარში).

შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე. შემოსავალი იზომება, როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება.

რაც შეეხება მომსახურებას, შემოსავალი მომსახურების გაწევის შესაბამისად აღიარდება. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება სერვისის მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

3. ძირითადი საშუალებები:

	ძირითადი საშუალებები
თვითღირებულება (<i>'000 ლარი</i>)	
1 იანვარი, 2018	7,353
31 დეკემბერი, 2018	10,407
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2018	(2,341)
31 დეკემბერი, 2018	(2,638)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2018	5,012
31 დეკემბერი, 2018	7,769

ძირითადი საშუალებების ზრდა 2018 წელს ძირითადად გამოწვეულია მანქანა-დანადგარების შესყიდვით. ვინაიდან მოსალოდნელია, რომ არსებული ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

4. მარაგები:

<i>'000 ლარი</i>	31 დეკემბერი, 2018
მზა პროდუქცია	137
სხვა	1,928
სულ	2,065

მზა პროდუქცია მოიცავს წარმოებულ და სარეალიზაციოთ განკუთვნილ მარაგებს, ხოლო სხვა მარაგები - წარმოების პროცესში გამოსაყენებელ სხვადასხვა დანიშნულების მარაგებს, საცხებ-საპოხ მასელებს, სპეც ტანსაცმელს და სხვა.

5. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები მოიცავს სს საქართველოს ბანკისგან აღებული სესხის მიმდინარე ნაწილს და ასევე კომპანია LLC Global International Energy Corporation - გან აღებულ სესხს.

6. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები მოიცავს სს საქართველოს ბანკისგან აღებული სესხის გრძელვადიან ნაწილს.

7. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

26 სექტემბერი, 2019

მ. სულაძე

ხელმოწერა



გენერალური დირექტორი

ნ. ახადაძე

ხელმოწერა



ფინანსური დირექტორი

7. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

26 სექტემბერი, 2019

ხელმოწერა

გენერალური დირექტორი

ხელმოწერა

ფინანსური დირექტორი